ᲬᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲬᲘᲒᲜᲘ *ᲛᲔᲝᲗᲮᲔ*

ᲡᲐᲖᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲮᲐᲝ

ᲠᲝᲛᲝᲜᲘ ᲡᲜᲘᲙᲔᲢᲘ

ინგლისურიდან თარგმნა

ლაშა გველესიანმა

ᲑᲐᲙᲣᲠ ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘᲡ
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

შეაღწიოს -

ეს ღრმადაა დასაფარული, ჭიაანური ჭეჭელია,

ჭიდაე მას სიყვდილი ისმენდეს ეძგერის.

ჭია მგოსანი მობღვნა მაყურებლის ეწერა

„და, ია, ყვავასაფერს წერილი ესმეოს."

ფრანსუზი

თავი პირველი

ერთხელაც ცხოვრებაში, და, სხვათა შორის, სულ მალე, რომელიმე წიგნის კითხვისას შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ხშირად პირველივე წინადადებიდან სრულებით ნათელია, თუ რა სახის ამბავია მოთხრობილი წიგნში. მაგალითად, თუ წიგნი ასე იწყება: „იყო და არა იყო რა, ხის ფულუროში ცხოვრობდა პატარა, ანცი ბურუნდუკების ოჯახი," სავარაუდოდ, მასში მოთხრობილი იქნება ცელქი მოლაპარაკე ცხოველების სახალისო ამბავი; წიგნში, რომელიც იწყება წინადადებით: „ემილი იჯდა და დედამისის მომზადებულ მოცვიან ბლინებს დაჰყურებდა, მაგრამ ფიქრებით მხოლოდ „ტიმბერტოფსის" გოგონათა ბანაკს დასტრიალებდა და ისე ღელავდა, ჭამა ვიღას ახსოვდა", ალბათ მოთხრობილი უნდა იყოს ამბავი იმაზე, თუ რა ბედნიერად და ხალისიანად გაატარეს ზაფხული ვიღაც ხითხითა გოგონებმა; ხოლო თუ წიგნი ასე იწყება: „გარი ბეისბოლის ახალი ხელთათმანის პრიალა ტყავს ყნოსავდა და მოუთმენლად ელოდა ლარის, თავისი საუკეთესო ძმაკაცის გამოჩენას," მასში, სავარაუდოდ, შეხვდებით ვიღაც ჯანიან, გახვითქულ

ბიჭებს, რომლებიც რაღაც შეჯიბრებაში აუცილებლად გაიმარჯვებენ. ჰოდა, თუ თქვენ გიყვართ სიცელქე, ზაფხულში დროსტარება ან წარმატებით დაგვირგვინებული შეჯიბრებები, პირველივე წინადადებით მიხვდებით, თუ რომელი წიგნი უფრო შეგეფერებათ. დანარჩენი წიგნები შეგიძლიათ თამამად გადადოთ გვერდზე.

მაგრამ ეს წიგნი ასე იწყება: „ობოლი ბოდლერები მატარებლის ჭუჭყიანი ფანჯრიდან ტყის უჟმურ სიშავეს გაჰყურებდნენ და ფიქრობდნენ, ნეტავ მათ ცხოვრებაში იმედის პატარა სხივი ოდესმე კიდევ თუ გაკრთებოდა,“ და, წესით, უნდა მიხვდეთ, რომ ეს ამბავი ძალიან განსხვავდება გარის, ემილის ანდა პატარა ანცი ბურუნდუკების ისტორიებისგან – იმ მარტივი მიზეზით, რომ ვიოლეტ, კლაუს და სანი ბოდლერების ცხოვრება, ზოგადად, ძალიან განსხვავდება დანარჩენი ადამიანების ცხოვრებისგან. მთავარი განსხვავება კი უბედურების, უიღბლობისა და სასოწარკვეთის ხარისხში მდგომარეობს. ამ სამ ბავშვს უბედურება მართლაც ფეხდაფეხ დასდევს და ცელქობისთვის დრო სულ არ რჩებათ. მას მერე, რაც მათი მშობლები საზარელ ხანძარს ემსხვერპლნენ, ხალისიან ზაფხულსა და დროსტარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. და ერთადერთი ჯილდო, რომელიც შეიძლება ოდესმე მოიპოვონ, ალბათ იქნება „პირველი ადგილი უიღბლობისა და ბედის უკულმართობისათვის“. რა თქმა უნდა,

უაღრესად დიდი უსამართლობაა, რომ ბოდლერებს ამდენი სირთულე ხვდებათ ცხოვრებაში, მაგრამ აბა, რა ვქნათ? ასეთია მათი ამბავი. ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, წიგნი იწყება წინადადებით: „ობოლი ბოდლერები მატარებლის ჭუჭყიანი ფანჯრიდან ტყის უჟმურ სიშავეს გაჰყურებდნენ და ფიქრობდნენ, ნეტავ მათ ცხოვრებაში იმედის პატარა სხივი ოდესმე კიდევ თუ გაკრთებოდა“. ამიტომ, თუ უსიამოვნო ისტორიები არ გეპიტნავებათ, ჯობს, ეს წიგნი ახლავე დახუროთ.

ობოლი ბოდლერები მატარებლის ჭუჭყიანი ფანჯრიდან ტყის უჟმურ სიშავეს გაჰყურებდნენ და ფიქრობდნენ, ნეტავ მათ ცხოვრებაში იმედის პატარა სხივი ოდესმე კიდევ თუ გაკრთებოდა. ხრიალა მეგაფონმა მათ ეს-ესაა, ამცნო, რომ რამდენიმე წუთში მატარებელი ქალაქ პოლტრივილის სადგურში გაჩერდებოდა. სწორედ აქ ცხოვრობდა მათი ახალი მეურვე და ბავშვებს ვერაფრით გაეგოთ, რომელ ჭკუათამყოფელს მოუვიდა აზრად ასეთ უღიმღამო და შემზარავ მხარეში დასახლება. ვიოლეტი, რომელიც თოთხმეტი წლისა იყო, ანუ და-ძმაზე უფროსი, ტყეში მდგარ ხეებს გაჰყურებდა. ამ ძალიან მაღალ ხეებს თითქმის არ ჰქონდა ტოტები. შეიძლება ითქვას, ხეებს კი არა, ლითონის მილებს უფრო წააგავდნენ. ვიოლეტი მოწოდებით გამომგონებელი იყო და თავში სულ ახალ-ახალი მანქანები და მოწყობილობები უტრიალებდა, ამ დროს

თმას თასმით იკრავდა ხოლმე, იმიტომ რომ ეს ფიქრში ეხმარებოდა. ჰოდა, ახლაც, ხეებს რომ უყურებდა, ისეთ მექანიზმზე ფიქრობდა, რომელიც ნებისმიერ, თუნდაც სულ მთლად უტოტო ხეზე აძრომაში დაეხმარებოდა. თორმეტი წლის კლაუსი ტყის ნიადაგს არ აშორებდა თვალს, რომელიც ალაგ-ალაგ მოყავისფრო ხავსით იყო დაფარული. კლაუსს ამქვეყნად ყველაზე მეტად კითხვა უყვარდა და იმწუთას ცდილობდა გაეხსენებინა ყველაფერი, რაც პოლტრივილის ხავსებზე წაეკითხა და გამოდგებოდა თუ არა ისინი საკვებად. სანი ჯერ ჩვილი გახლდათ. ის კვამლივით ნაცრისფერ ცას გაჰყურებ-და, რომელიც ტყეს სველი სვიტრივით ჩამომხობოდა თავზე. სანი თავისი ოთხი ბასრი კბილით ყველაფერს უდიდესი სიამოვნებით ღრღნიდა და კბეჩდა, და იმწუ-თას ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, იმ არემარეში გასაღრღნელად რა გამოდგებოდა. ვიოლეტი თავისი მოწყობილობის ზოგად სქემას ჩაღრმავებოდა, კლაუსი ხავსებზე ფიქრობდა, სანი კი საკბეჩად ავარჯიშებდა პირს – აღებდა და ხურავდა; მაგრამ ტყე შთაგონების კი არა, დაღონების წყაროდ უფრო გამოდგებოდა და ბავშვებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ მათი ახალი საცხო-ვრებელი შეიძლება არცთუ ისე სასიამოვნო ადგილი აღმოჩენილიყო.

– რა მშვენიერი ტყეა! – აღნიშნა ბატონმა პომ და თეთრ ცხვირსახოცში ჩაახველა. ბატონი პო ბანკის

თანამშრომელი იყო. მას ხანძრის შემდეგ ბოდლერთა საქმეების მოგვარება დაევალა, და, სამწუხაროდ, ეს არც ისე კარგად გამოსდიოდა. მას ორი მთავარი რამ მოეთხოვებოდა: ობლებისთვის კარგი სახლის შოვნა და იმ უზარმაზარი ქონების დაცვა, რომელიც ბავშვებს მშობლებმა დაუტოვეს. უნდა ითქვას, რომ ყოველი მის მიერ ნაშოვნი საცხოვრებელი სრული კატასტროფა იყო – ეს სიტყვა აქ ნიშნავს „გარდაუვალ უბედურებას, რომელიც მოიაზრებს ტრაგედიას, მკვლელობას, უამრავ ტყუილსა და გრაფ ოლაფს“. გრაფი ოლაფი ის საშინელი კაცი გახლავთ, რომელსაც ბოდლერების ქონება თავისთვის უნდა და ყველანაირ სისაძაგლეს იკადრებს, ოღონდაც ეს ქონება ხელში ჩაიგდოს. ყოველ მცდელობაზე მან თითქმის მიაღწია თავის საწადელს, მაგრამ ობოლმა ბოდლერებმა გამოააშკარავეს მისი გეგმა, თუმცა, ყოველ ჯერზე გრაფმა ოლაფმა გაქცევა შეძლო – ბატონ პოს კი ჩახველების მეტი არასოდეს არაფერი უქნია. ამჯერად მას ბავშვები პოლტრივილში მიჰყავდა და, რაგინდ გულდასაწყვეტი იყოს, უნდა გითხრათ, რომ გრაფი ოლაფი ამჯერადაც სრულებით ამაზრზენ გეგმას დასახავს და ამჯერადაც ბატონი პო ობლებს ოდნავადაც ვერ დაეხმარება.

– რა მშვენიერი ტყეა! – გაიმეორა ბატონმა პომ, როცა ხველებას მორჩა, – ვფიქრობ, აქ ცხოვრება მოგეწონებათ. ყოველ შემთხვევაში ამის დიდი იმედი მაქვს,

იმიტომ, რომ „ჯარიმების სამმართველოში“ ახლახან დამაწინაურეს. ამიერიდან სამონეტო მიმართულების ვიცე-პრეზიდენტი ვარ და ჩვეულებრივზე უფრო დაკავებული ვიქნები. ამიტომ, თუ აქ რამე შეგემთხვევათ, სანამ ახალ სახლს მოგიძებნით, მომიწევს სკოლა-ინტერნატში გაგიშვათ. ასე რომ, გთხოვთ, კარგად მოიქეცით.

– რა თქმა უნდა, ბატონო პო, – მიუგო ვიოლეტმა, თუმცა ის აღარ შეახსენა, რომ თვითონაც და მისი და-ძმაც ყოველთვის ძალიან კარგად იქცეოდნენ, მაგრამ ამას მათთვის სიკეთე არ მოუტანია.

– ჩვენს ახალ მეურვეს რა ჰქვია? – ჰკითხა კლაუსმა, – მგონი, არ გითქვამთ.

ბატონმა პომ ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო და თვალებმოჭუტული დააცქერდა.

– ბატონი ვუზ... ბატონი კვი... ვერ ვკითხულობ. ძალიან გრძელი და რთული სახელია.

– შეიძლება ვნახო? – სთხოვა კლაუსმა, – იქნებ მე გავარჩიო.

– არა, არა, – იუარა ბატონმა პომ და ფურცელი ჯიბეში ჩაიდო, – თუ მოზრდილი ვერ კითხულობს, ბავშვი მით უმეტეს ვერ წაიკითხავს.

– გა! – დაიჭყივლა სანიმ. სხვა ჩვილების მსგავსად სანიც უმეტესად მხოლოდ მარცვლებს გამოსცემდა ხოლმე. ამჯერად ალბათ დაახლოებით ამას გულის-

ხმობდა: „კი, მაგრამ კლაუსი უამრავ რთულ და ჩახლართულ წიგნს კითხულობს!“

– ის კაცი თვითონ გეტყვით, როგორ მიმართოთ, – გააგრძელა ბატონმა პომ, თითქოს სანის არც არაფერი ეთქვას, – მას „იღბლიანი სუნების სამხერხაოს“ მთავარ ოფისში შეხვდებით, რომელიც, როგორც მითხრეს, რკინიგზის სადგურიდან არც ისე შორსაა.

– ჩვენთან ერთად არ წამოხვალთ? – დაინტერესდა ვიოლეტი.

– არა, – უპასუხა ბატონმა პომ და კიდევ ერთხელ ჩაახველა ცხვირსახოცში, – მატარებელი პოლტრივილში დღეში მარტო ერთხელ ჩერდება, ანუ, თუ ჩამოგყვებით, მომიწევს დილამდე დავრჩე და ბანკში სამუშაო დღე გავაცდინო. უბრალოდ, ბაქანზე დაგტოვებთ და ქალაქში დავბრუნდები.

ბოდლერებმა შეფიქრიანებული სახეებით გაიხედეს ფანჯარაში. სულაც არ ესიამოვნათ, რომ თურმე ამ უცნაურ ადგილას უბრალოდ „ბაქანზე დატოვებდნენ“, გეგონება სამყაროში უთვისტომოდ დარჩენილი სამი საბრალო ბავშვი კი არა, შეკვეთით მიტანილი პიცა ყოფილიყვნენ.

– და გრაფი ოლაფი რომ გამოჩნდეს? – ჩუმად ჰკითხა კლაუსმა, – დაიფიცა, გიპოვითო.

– ბატონ ბეკ... ბატონ დიუი... მოკლედ, თქვენს ახალ მეურვეს გრაფ ოლაფის სრული აღწერილობა მივაწო-

დე. ასე რომ, თუ იგი ოდესმე რატომღაც პოლტრივილ-ში გამოცხადდა, ბატონი შო... ბატონი გეკ... მოკლედ, პოლიციას შეატყობინებს.

– მაგრამ გრაფი ოლაფი ხომ სულ შენიღბულია, – აღნიშნა ვიოლეტმა, – მისი ცნობა არცთუ ადვილია. მის ამოსაცნობად ერთადერთი უტყუარი ნიშანი გვაქვს – კოჭზე ამოსვირინგებული თვალი.

– აღწერილობაში სვირინგიც მივუთითე, – მოუთ-მენლად უპასუხა ბატონმა პომ.

– და გრაფ ოლაფის მეგობრებს რა ვუყოთ? – იკი-თხა კლაუსმა, – როგორც წესი, თავისი მზაკვრული საქმეებისთვის სულ მცირე ერთ-ერთი მათგანი მაინც ახლავს ხოლმე.

– ბატონ... რაც ჰქვია, მოკლედ, სამხერხაოს მეპა-ტრონეს ყველა მათგანი აღვუწერე, – თქვა ბატონმა პომ და ოლაფის საშინელი დამქაშების ჩამოთვლას მოჰყვა, – ხელკაუჭა კაცი; მელოტი გრძელცხვირა კაცი; სახეზე თეთრპუდრმოყრილი ორი ქალი და ის მსუქანი არსება, რომელიც არც კაცს ჰგავს, არც ქალს. თქვენმა ახალმა მეურვემ ყველა მათგანზე იცის და, თუ რამე სირთულეს წააწყდით, გახსოვდეთ, რომ ყოველთვის შეგიძლიათ დამიკავშირდეთ მე ან ნებისმიერ ჩემს თანამშრომელს „ჯარიმების სამმართველოში“.

– კა! – მოიწყინა სანიმ. ალბათ იმის თქმა უნდოდა, „ეს არცთუ დამაიმედებლად ჟღერსო“, მაგრამ ამ დროს

მატარებელი პოლტრივილის სადგურზე შევიდა და მატარებლის სასტვენმა სანის ხმა ჩაახშო.

– აი, მოვედით, – გამოაცხადა ბატონმა პომ და თვალის დახამხამებაში ბავშვები უკვე ბაქანზე იდგნენ. მატარებელი კი დაიძრა და ტყეში შეუხვია. მატარებლის რახარუხი ნელ-ნელა მიჩუმდა, მერე ბოლო ვაგონიც მიეფარა თვალს და ობლები სრულებით მარტონი დარჩნენ.

– კარგი, – ჩაილაპარაკა ვიოლეტმა და პატარა ჩანთა აიღო, რომელშიც ბავშვების მთელი გარდერობი ეტეოდა, – მოდი, ის „იღბლიანი სუნების სამხერხაო“ ვიპოვოთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიცნოთ ჩვენი მეურვე.

– იმას მაინც გავიგებთ, რა ჰქვია,– სევდიანად დაეთანხმა კლაუსი და სანის ხელი ჩაჰკიდა.

თუ ოდესმე შვებულების დაგეგმვას გადაწყვეტთ, გირჩევთ, შეიძინოთ გზამკვლევი, ანუ წიგნი, რომელშიც ჩამოთვლილია დასათვალიერებლად საინტერესო და სასიამოვნო ადგილები და მოცემულია სასარგებლო რჩევები, თუ რა და როგორ ქნათ, როცა დანიშნულების ადგილას ჩააღწევთ. პოლტრივილს ვერც ერთ გზამკვლევში ვერ ნახავთ, და თუ რატომ, ამას პოლტრივილის ერთადერთ ქუჩაზე მარტოსულად მიმავალი ობოლი ბოდლერები მყისვე მიხვდნენ. ქუჩის ორივე მხარეს რამდენიმე პატარა მაღაზია იყო, თუმცა არც ერთს

არ ჰქონდა ფანჯრები. საფოსტო განყოფილების წინ ფლაგშტოკზე დროშის ნაცვლად ძველი ფეხსაცმელი ეკიდა, მოპირდაპირე მხარეს კი ქუჩას ბოლომდე მიუყვებოდა ხის მაღალი ღობე. ღობის შუაშიც მაღალი, ხის ჭიშკარი იყო, რომელსაც ოკრობოკრო და თითქოს ლორწოვანი ასოებით ეწერა „იღბლიანი სუნების სამხერხაო“. ტროტუარის გასწვრივ, იქ, სადაც წესით ხეები უნდა ყოფილიყო, ძველი გაზეთების უზარმაზარი დასტები ეწყო. მოკლედ, ყველაფერი, რაც კი ქალაქში შეიძლება საინტერესო ან სასიამოვნო ყოფილიყო, პირიქით, მოსაწყენი და უსიამოვნო იყო და, თუნდაც პოლტრივილი რომელიმე გზამკვლევში მოხსენიებულიყო, ერთადერთი სასარგებლო რჩევა, რომელიც შეიძლება იქ ჩასულისთვის მიგეცა, იქნებოდა „წადი აქედან!“ მაგრამ, რა თქმა უნდა, სამი ობოლი ვერსადაც ვერ წავიდოდა. ვიოლეტმა ამოიოხრა და და-ძმასთან ერთად ხის ჭიშკარს მიუახლოვდა. დაკაკუნებას აპირებდა, როცა კლაუსი მხარზე შეეხო და უთხრა:

– შეხედე.

– ვიცი, – უპასუხა ვიოლეტმა, რომელმაც იფიქრა, ეტყობა, იმ ასოებზე მეუბნება, „იღბლიანი სუნების სამხერხაო“ რითაც წერიაო. ახლა, როცა ჭიშკართან იდგნენ, უკვე გასაგები იყო, რატომ ჩანდა ასოები ოკრობოკრო და თითქოს ლორწოვანი: ასოები დაღეჭილი საღეჭი რეზინის უამრავი ბურთულისგან შედ-

გებოდა, რომლებიც ვიღაცას პირდაპირ ჭიშკარზე მიეკრა. თუ არ ჩავთვლით მკვდარი მაიმუნებისგან შედგენილ წარწერას „ფრთხილად“, რომელსაც ერთხელ სადღაც წავაწყდი, „იღბლიანი სუნების სამხერხაო“ ამქვეყნად ყველაზე ამაზრზენი წარწერა იყო. ვიოლეტმა იფიქრა, კლაუსი სწორედ ამაზე მითითებსო, მაგრამ მიბრუნებულმა დაინახა, რომ მას მზერა წარწერისთვის კი არა, ქუჩის შორეული ბოლოსკენ მიეპყრო.

– შეხედე, – გაუმეორა კლაუსმა, მაგრამ ვიოლეტმა უკვე დაინახა ის, რაზედაც ძმა მიანიშნებდა, და მაშინვე ეცნო. ორივენი იდგნენ და ხმის ამოუღებლად მიშტერებოდნენ პოლტრივილის ერთადერთი ქუჩის ბოლოში მდგარ შენობას. სანი საღეჭ რეზინზე დამჩნეულ ნაკბილარებს აკვირდებოდა, მაგრამ და-ძმის დუმილზე თავი მიატრიალა და მანაც დაინახა. რამდენიმე წამს ობოლი ბოდლერები უბრალოდ იდგნენ და უყურებდნენ.

– ალბათ დამთხვევაა, – თქვა ხანგრძლივი პაუზის მერე ვიოლეტმა.

– რა თქმა უნდა, დამთხვევაა, – მშფოთვარედ ჩაილაპარაკა კლაუსმა.

– ვავუ, – დაეთანხმა სანი, თუმცა, ამის სულაც არ სჯეროდა. არც ერთ ობოლს არ სჯეროდა. სამხერხაოს ჭიშკრიდან კარგად ჩანდა ქუჩის ბოლოც და ის შენობაც, რომელსაც თვალს ვერ აშორებდნენ. სხვა შენობების მსგავსად, არც მას ჰქონდა ფანჯრები,